სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N2-6

ქ. თბილისი **10 მაისი 2019 წ.**

ერთის მხრივ **სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი უფროსის **ვასილ გედევანიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს ,,ახალი ნათება"** (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **თემურ არდოტელის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **40 (ორმოცი) ერთეული R63-PA-C 9W E27 3000K-F29 მოდელის ნათურის (გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები CPV31500000) შესყიდვა.**

2.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2 მუხლის 2,1 პუნქტში მითითებულ რაოდენობას.

3 ხელშეკრულების ღირებულება

1. 1 (ერთი) ერთეული ნათურის ღირებულება შეადგენს 5,80 (ხუთი ლარი და 80 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
2. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **232,00 (ორას ოცდათორმეტი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.
3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება საქაონლის მიწოდების შესახებ მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ან/და სხვა საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი **გია მოთიაშვილი პ/ნ 01012017360.**

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2 მუხლის 2,1 პუნქტში მითითებულ რაოდენობას.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი **გია მოთიაშვილი პ/ნ 01012017360.**

8. პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს შესყიდვის ობიექტზე გაცემული გარანტიის პირობები. საგარანტიო ვადა წინამდებარე ხელშეკლრულებით გათვალისწინებულ საქონელზე შეადგენს 2 წელს, რომელიც აითვლება საქონლის მიწოდების მომენტიდან. საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია უსასყიდლოდ (თავისი ხარჯით) გამოასწოროს მიწოდებული საქონლის ნაკლი ან გამოცვლის უხარისხო, ან წუნდებული საქონელი უნაკლოთი. ნივთზე საგარანტიო მომსახურება არ ვრცელდება მისი ფიზიკური დაზიანების შემთხვევაში ან/და მისთვის მიღებული საექსპლუატაციო პირობების დარღვევით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2019 წლის 30 ივნისის** ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ.N6
საიდენტიფიკაციო კოდი: 204585564
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 591 40 40 12

LEPL AGENCY OF NUCLEAR AND RADIATION SAFETY
ვასილ გედევანიშვილი
სააგენტოს უფროსი

მიმწოდებელი:

შპს „ახალი ნათება“
ს/კ202066156
მის: ქ.თბილისი. წერეთლის გამზ.N116
ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი“
კოდი:MIBGGE22
ა/ა GE74PC0053600100013179
ტელ: 598 18 15 80. 220 24 24/158

Digitally signed by LEPL AGENCY OF NUCLEAR AND RADIATION SAFETY
DN: cn=LEPL AGENCY OF NUCLEAR AND RADIATION SAFETY, 2.5.4.97=NTRGE-204585564, o=, c=GE
Date: 2019.05.15 14:49:57 +04'00'

თემურ არდოტელი
აღმასრულებელი დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 10 მაისი 2019 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** და **შპს „ახალი ნათება“** შორის 2019 წლის 10 მაისს N2-6 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

_____ **ვასილ გედევანიშვილი**

_____ **გია მოთიაშვილი**

_____ **თამარ გულიაშვილი**